ონლაინ სწავლების ხელშეწყობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

მარიამ კოშაძე

ნინო მირუაშვილი

თეონა მჭედლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნათია მჟავანაძე, საერთაშორისო და შედარებითი განათლების მაგისტრი, საერთაშორისო განათლების დოქტორანტი

ნათია ანდღულაძე, განათლების მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მ. კოშაძე

ნ. მირუაშვილი

თ. მჭედლიშვილი

26.06.2021

აბრევიატურის ჩამონათვალი

1. LMS -Learning Management System
2. COI – Community of inquiry
3. OECD - Organisation for Economic Co-operation and Development
4. ICT - Information and communications technology
5. ENQA -The European Association for Quality
6. CI -California State University Channel Islands

მადლობა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში არაერთი ადამიანი დაგვეხმარა, რომლებსაც გვსურს მადლობა გადავუხადოთ.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი ნაშრომის ხელმძღვანელებს, ნათია მჟავანაძეს და ნათია ანდღულაძეს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ მუშაობის პროცესში ჩართულნი, გვაძლევდნენ რეკომენდაციებს და შესაბამის უკუკავშირს.

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების პროფესორებსა და სტუდენტებს, რომლებმაც არაერთხელ მიიღეს მონაწილეობა ფოკუს ჯგუფებსა და გამოკითხვებში, რათა ჩვენი კვლევა უფრო რელევანტური გამხდარიყო.

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების პროგრამის ადმინისტრაციის წევრებს გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც მიზნად ისახავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ონლაინ სწავლების განვითარების ხელშეწყობას, პრაქტიკის კვლევის მიზანია შემუშავდეს და გაიწეროს ონლაინ სწავლების პოლიტიკა, რომელიც დაეხმარება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ონლაინ სწავლების განვითარებაში.

პრაქტიკის კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, გამოიკითხა აღნიშნული პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლები. პრაქტიკის კვლევა მიმდინარეობდა ერთი წლის განმავლობაში, ამ პერიოდში სისტემატურად ხორციელდებოდა ფოკუს ჯგუფების შერჩევა-დაკომპლექტება და მათი შეხედულებებისა და გამოცდილების მოსმენა-გაზიარება. ასევე ჩატარდა სიღმისეული ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და განხილულ იქნა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა და საერთაშორისო პრაქტიკა.

2020 წლის კოვიდ პანდემიამ მსოფლიოში დააჩქარა პროცესები, რომ დისტანციური სწავლება უფრო პოპულარული და საჭირო გამხდარიყო, ასე მოხდა ჩვენს ქვეყანაშიც. თუმცა, ფოკუს ჯგუფებში კვლევის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ პანდემიამ არასწორი შეხედულებები დაამკვიდრა ლექტორების გარკვეულ ნაწილში ონლაინ სწავლების შესახებ. ონლაინ სწავლება აღიქმებოდა, როგორც სინქრონული დაშორებული სწავლება. კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა სტუდენტებისა და ლექტორების მხრიდან მზაობა ონლაინ სწავლებისთვის.

კვლევის შედეგად ნათელი გახდა, თუ რა მოლოდინი აქვთ როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს უნივერსიტეტის მხრიდან, რა სახის მხარდაჭერას და

დახმარებას საჭიროებენ ისინი. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავდა უნივერსიტეტისთვის ონლაინ სწავლების პოლიტიკის დოკუმენტი, თუ როგორ უნდა მართოს და ხელი შეუწყოს ონლაინ სწავლების განვითარებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

საძიებო სიტყვები: ონლაინ სწავლება, დისტანციური სწავლება, სასწავლო პლატფორმები, ასინქრონული სწავლება, სინქრონული სწავლება, შერეული სწავლება, ონლაინ სწავლების პოლიტიკა.

Abstract

The Master Thesis is a report of a practice research aimed at promoting the development of online learning at Ilia State University. The aim of this practice research is to develop the online learning policies for the university, that will help the university administration, as well as professors and students who want to participate in the development of online learning.

The practice research was conducted within the Master's Program in Education Administration at Ilia State University, the professors and students of the program were interviewed and as well as staff members of the university. The practice study lasted for one year and during this period interviews with focus groups were systematically conducted to share the views and experiences of faculty, staff members and students. Also, in-depth interviews were conducted with the university administration and were reviewed relevant scientific literature and international practice for the study.

In 2020, Covid-19 Pandemic accelerated processes around the world to make distance learning more popular and needed, as it did in our country too, however, in the early stages of the research in focus groups, it was revealed that the pandemic had established misconceptions about online teaching among some lecturers. Online learning was perceived as synchronous distance learning. The research also revealed the readiness of students and lecturers for online learning and teaching.

The research revealed what expectations both students and professors have from the university, what kind of support and assistance they need. Based on international practice, a policy of the online learning was developed for the University on how Ilia State University should promote the development of online learning.

Key Words: Online Learning, Distance Learning, Learning Management System, Blended learning, Asynchronous learning, Online Learning Policy.